ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 362

"9" აგვისტო 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.15.03.010.218; №01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" (ს/ნ. 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.15.03.010.218; №01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" (ს/ნ. 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 აგვისტოს №22.1212.1312 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.03.010.218) და ქ. თბილისში, მედეა ჯუღელის ქ. №10-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.03.010.219) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" (ს/ნ. 203826002) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით (თითოეული ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 960 ლარი).

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე